№ 31 | 14 მარტი, პარასკევი | 1866—1875 | 14 მარტი, პარასკევი | № 31

# დროება


### რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, უორლანოვის სახლებში.

### ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

### გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

### განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანციცულს ენებზე.

### განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება


სამსაჯულოებში საქმის ვექილი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი კისრულობს უფასოდ შუამდგომლობას, რომ თფილისის მაზრის სამსაჯულოს უფროსის ნოტარიუსისაგან აიღოს გირაოების მოწმობები იმ უძრავ მამულებზედ, რომელნიც პატრონებს თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკში უნდათ დააგირაონ. მსურველებს შეუძლიანთ ნახონ ხსენებული ვექილი საადგილმამულო ბანკის სადგომში, ყოველდღე, კვირასა და უქმეებს გარდა, დილით — ცხრა საათიდგან ათამდის და საღამოს — შვიდიდგან რვამდის.

## საქართველო

### საადგილ-მამულო ბანკისაგან სესხის ამღებლებს

—

დღეს ჩვენ კიდევ თფილისის საადგილ-მამულო ბანკზედ უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ბანკისაგან მონდობილობა გვქონდეს. ბანკი ჩვენს ვექილობას არ საჭიროებს. თუ გარემოება მოითხოვს, ბანკის გამგეობა თვითონ უკეთესად დაიცავს თავის თავს. ამ სტატიით ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ჩვენი მამულის მეპატრონეები გავაფთხილოთ, ვინც უნდა იყოს ეს მემამულეები, თავადი, აზნაური, თუ სხვა ვინმე, ამიტომ რომ ბანკთან ყველას ექმნება დამოკიდებულება, ვინც ადგილ-მამულს ჰფლობს და ბანკში დაგირავებას მოისურვებს.

საქმე ის არის, რომ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკს, როგორც ყოველსავე ახალ დაწესებულს რასმეს, ამ თავითვე ბოროტის მოსურნეები აღმოუჩნდა. ქალაქში ხმა დავარდა, ვითომც თფილისის საადგილ-მამულო ბანკი სესხათ ყოველს ათს თუმნად დაფასებულს მამულზედ მხოლოდ სამს თუმანს აძლევდეს, ამ სამს თუმანს მსესხებელს ათ თუმნად აწერდეს და წელიწადში იმდენს სარგებელს იღებდეს, რომ თითოეული ჩვენგანი როგორც ჭირს ისე უნდა ერიდებოდესო ამ ახალი ბანკისაგან სესხის აღებასაო.

თითოეული, ვისაც კი ბანკის წესდება ან ჩვენს გაზეთში (№ № 22, 23, 24) და „კავკაზში," გამოცხადებული სესხის პირობები გადაუთვალიერებია, უთუოდ ადვილად მიხვდება, რომ ამ გვარი ცუდი ხმები ჩვენს ბანკზედ იმდენად უმეცრების ბრალი არ უნდა იყოს, რამდენათაც ბოროტ-მოსურნეობისა; ეს ხმები იმ პირთა წყალობით ვრცელდება, რომელთაც მამულის მეპატრონეთ დარდი კი არ აქვთ, უფრო თავის საკუთარი ჯიბის ბედ-იღბალი აწუხებს და რომელნიც ხერხიანად სარგებლობენ გულწრფელი კაცების მათზედ ნდობითა.

რადგანაც საადგილ-მამულო ბანკი ჩვენის ცხოვრების ერთი ნათელ მოვლენათაგანია, რომლის წარმატება ცოტაოდნათ მაინც შეამსუბუქებს ჩვენს გაჭირვებულს ცხოვრებას და წარუმატებლობა კი ერთობ დიდს ვნებას მოგვცემს, ამიტომ ჩვენ, როგორც საზოგადოების წევრნი, მოვითხოვთ, რომ ვისაც ბანკისაგან სესხის აღების პირობები უნდა შეიტყოს, ნურავის ნუ უჯერის, თვითონვე ხსენებული განცხადებები წაიკითხოს, ან ბანკის გამგეობას მიმართოს, სადაც ყოველსავე საჭირო ცნობას შეიტყობს და, თუ სურს, ბანკის წესდებისა და დაფასებისათვის სახელმძღვანელო კანონების ყიდვაც შეუძლიან.

ამ ხმებს გარდა რედაქციის ყურამდის იმათმა საჩივარმაც მოაწია, რომელთაც ბანკისაგან სესხის აღება სურსთ, მაგრამ არ იციან, როგორ უნდა აიღონ. როგორც გაგვიგია, ბანკის გამგეობა, ზემოხსენებულს ცნობებს გარდა, ყოველს საჭირო დარიგებასაც აძლევს; ამას გარდა იქვე არზებსაც უწერენ ყველას, ვისაც უფროსის ნოტარიუსისაგან გირაოს მოწმობის აღება უნდა. და თუ ვისმე თვითონ ბანკის, ან სხვისი ვისიმე დაუხმარებლად ამ საქმის წარმოება სურს, იმათთვის აი რას ვიტყვით:

რომ ბანკმა სესხი მისცეს, საჭიროა დასაგირავებელს მამულზედ უფროსის ნოტარიუსისაგან მიცემული გირაოს მოწმობა წარადგინონ ბანკში და ამ მოწმობას მსურველი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, როდესაც ის ნოტარიუსს გირაოს მოწმობის თხოვნასთან წარუდგენს ხამდვილს საბუთებს, ან ამ საბუთების კანონიერად დამტკიცებულს პირებს, მათის პირებითურთ, რომლიდგანაც სჩანდეს მამულის მდებარეობა და სივრცე, რომ ეს მამული ამა და ამ კაცს ეკუთვნისო, რომ პატრონმა ეს მამული ამა და ამ კაცისაგან, ან დაწესებულებისაგან იყიდა ან მიიღო მემკვიდრეობით, ან ბოძებით. საჭიროა წარუდგინონ ნოტარიუსს:

ნასყიდობის ან ბოძების წერილი და სამფლობელო ფურცელი, პირებითურთ, რომელნიც ორ-ორ აბაზიან ქაღალდზედ უნდა იყვნენ დაწერილნი. ან არა და კანონიერად დამტკიცებული პლანი, ან იმისი პირი და სამიჯნაო ჟურნალის პირი.

თუ ვინიცობაა მამული გაუყოფელია და რამდენიმე კაცის საკუთრებას შეადგენს, მაშინ ეს მამული ბანკის წესდების ძალით მხოლოდ მრთლად უნდა დაგირავდეს და არა ნაწილ-ნაწილად; მაშასადამე სესხის მსურველმა უნდა იშოვნოს მოზიარეთაგან კანონიერი თანხმობა მამულის დაგირავებაზედ.

თუ მამული მცირე წლოვანებს ეკუთვნის და იმათი მოურნე ან მზრუნველი აპირებს მისს დაგირავებას, მაშინ მან მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობით მაზრის სამსაჯულოსაგან მამულის დაგირავების ნება უნდა მიიღოს. დამგვარს ნება-რთვას მსურველი მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც მაზრის სამსაჯულო მომრიგებელი მოსამართლის წარდგინებით დარწმუნდება, რომ მამულის დაგირავება მცირე წლოვანთათვის სასარგებლოა.

შეიძლება, რომ ვისმეს არავითარი კუთვნილების საბუთი არ ჰქონდეს, რადგანაც იმას მამული იქნება არც [illegible] იყოს რუსეთის მთავრობისაგან და არც გამიჯნული იყოს ეს მამული. მოკლედ ვსთქვათ, შეიძლება, მეპატრონეს ჰქონდეს მამაპაპისეული მამული და საბუთი კი არც ერთი. ამ შემთხვევაში მემამულე სთხოვს მომრიგებელს მოსამართლეს, რომ მოსამზღვრეები და მოწმეები მიიხმოს და როცა ისინი გარდაჭრით იტყვიან, რომ მეპატრონე მამულს ათზედ მეტს ან ათს წელიწადს მაინც ჰფლობდა, მაშინ მომრიგებელი მოსამართლე განკარგულებას მოახდენს, რომ დიდ-ხნოვანობის ძალით მეპატრონეს მამული ჩააბარონ და კანონიერი სამფლობელო ფურცელი მისცენ.

ეს საბუთები არის საჭირო გირაოს მოწმობის მისაღებად ნოტარიუსისა-

## ფელეტონი

### გიორგი უაშინგტონი

—

გიორგი უაშინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების განმათავისუფლებელია. კაცობრიობის წარსული ცხოვრება ძნელად წარმოგვიდგენს მეორე ისეთს მაგალითს, რომ კაცს უაშინგტონისოდენა ეშრომოს თავის სამშობლო ქვეყნისათვის, იმდენი თავგანწირულება, მხნეობა გამოეჩინოს და თან იმასავით დაევიწყოს თავის კერძო პიროვნების სარგებლობა.

უაშინგტონმა გაანთავისუფლა თავის სამშობლო ინგლისის დამოკიდებულებისაგან და დააფუძნა ის ძლიერი შეერთებული შტატების რესპუბლიკა, რომელსაც ეხლა ზოგიერთი ევროპიის ხალხები შეჰნატრიან და ჰბაძავენ.

×

გიორგი უაშინგტონი დაიბადა ვირგინიის შტატის ერთს პატარა ქალაქში 1732 წელს. ჯერ სრულებით ახალგაზდა იყო, როდესაც მამა მოუკვდა. დარჩნენ ისა და დედა, რომელიც ჩინებული, მშვიდობიანი, ღვთისა და კაცის მოყვარე ადამიანი იყო. იმან პატარაობითვე ჩაუნერგა თავის ვაჟს გულში თავისუფლობისა და შრომის სიყვარული.

ღარიბ ოჯახს რითაც იყო თავი უნდა ერჩინა და ამიტომ გიორგიმ ადრეღგანვე მიჰყო ხელი ცხოვრების მოსაპოებელ საშუალებას. ოც წლამდინ ის ხან თავის მიწას ამუშავებდა, ხან მიწის-მზომელად იყო სამსახურში. მუდამ შრომაში, მუდამ მოგზაურობაში გაიმაგრა სხეული და ეს სხეულის სიმაგრე და სიმხნევე მომავლისათვის გამოადგა. ოცი წლისა რომ შეიქნა, ვირგინიის მილიციაში შევიდა და ექვსი წელიწადი მსახურებდა. თავის ტოლ-ამხანაგებში ის გამოჩენილი იყო, როგორც საუკეთესო, მხნე და მცოდნე აფიცარი, როგორც პატიოსანი და თავისუფლების მოყვარე კაცი. ამ თავისუფლების მოყვარეობამ აიძულა ის სამსახურიდამ გამოსვლას, რადგან ინგლისის დროშის ქვეშ სამსახური არ უნდოდა.

სამსახურიდამ გამოსული უაშინგტონი წავიდა თავის სამშობლო სოფელში და ისევ მიწის მუშაობას მიჰყო ხელი. ამ დროს შეირთო იმან ცოლი და ამნაირათ ის, დედა მისი და ცოლი ერთად მშვიდობიანათ ცხოვრებდნენ. მაგრამ ეს შეუშფოთებელი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა.

×

ინგლისმა, თავის ჩვეულებისამებრ, მოინდომა თავის კოლონიის მეწველ ძროხად გადაქცევა. იმას უნდოდა, როგორც ინდოეთს ეპყრობოდა ისე მოჰპყრობოდა ჩრდილოეთი ამერიკის

გან. რაკი ეს მოწმობა მსურველს ხელში ექნება, მაშინ ის ბანკის გამგეობას სესხის აღებაზედ განცხადებას მისცემს და ამის შემდეგს უბრალო საქმის წარმოებას იქვე შეიტყობს.

მესამე საჩივარი იმათგან გვესმის, ვინც სესხის აღების საჭირო პირობები ძლიერ კარგად იცის, მაგრამ ის კი ვერ გაუგია, რატომ ასე სიფრთხილით მოქმედებს ბანკის გამგეობა.

ამ მომჩივანთ არ იციან უთუოდ, რომ ბანკს აქვს მხოლოდ 25 ათასი თუმანი, რომელიც ერთობ ცოტაა, ასე რომ ეს ფული ერთ უეზდსაც არ ეყოფოდა სესხად. მაგრამ ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ბანკი ამ ფულისაგან 16 ათას თუმანს ხელს სულ ვერ შეახებს. საიდამ უნდა გასცეს ბანკმა სესხი? ბანკი თვითონ სესხულობს ფულს გირაოს ფურცლების გამოცემით, რომელთაც ან ბანკისაგან სესხის ამღებლები, ან იმათის თხოვნით თვითონ ბანკის გამგეობა ასაღებენ. მაშასადამე თუ ბანკი თავდაჭერით არ მოიქცა, თუ ბანკმა ძალიანი სიფრთხილე არ მოიხმარა ფულის გასესხებაში, უთუოდ იმას ნდობა დაეკარგება, იმის გირაოს ფურცლებს ფასი დაუვარდება და ამითი ბანკი და თვითონ მსესხებლები ძლიერ ბევრს ზარალს ნახვენ.

ამას გარდა თითოეული ბანკისაგან სიფრთხილით გაცემული სესხი [illegible] აძლევს ბანკსა, მაშინ როდესაც ერთი უსაფუძვლოდ, წინდაუხედველად გავალებული სასხი, ოცი და ასი სხვა სესხის გაცემის ღონესა სპობს.

რაში მდგომარეობს ეს სიფრთხილე? იმაში, რომ ბანკმა კანონიერი, განსაზღვრული და სინიდისიანად დაფასებული უძრავი საკუთრება უნდა მიიღოს გირაოდ და იმდენი სესხი მისცეს ამ გირაოზედ, რომ თვითონ ამ გირაოს წლიური შემოსავლისაგან ადვილად შეეძლოს მეპატრონეს ვალის გარდახდა. თორემ თითოეულმა ჩვენგანმა თუ მხოლოდ იმისთანა ბანკებსა და იმისთანა კერძო პირებს მივმართეთ, რომელნიც ჩვენი გაჭირვების დროს გაუფრხილებლად ფულს გვაძლევს, მაშინ ჩვენი მამულები სულ ამ დიდი სესხის მომცემთა ხელში გარდავა.

ზოგიერთი ამას ამბობს, ჩვენი ბანკიც ამ გვარს უბედურებაში ჩაგვაგდებსო, მაგრამ ეს აზრი ან უცოდინარობისაგან წარმოებს, ან ისევ ბოროტ-მოსურნეობისაგან. თუ ჩვენ ჩვენი მამულისაგან ძნელად სატვირთი ვალები ავიღეთ, აღებული ფული სხვა და სხვა უხეირობაში დავჰფანტეთ და მამულს არ მოვახმარეთ, რასაკვირველია მაშინ ჩვენი ბანკიც სხვა ბანკს გაუთანასწორდება ჩვენის ხელისაგან მამულების გამოცლით; განსხვავება კი ის იქნება ჩვენსა და სხვა ბანკს შუა, რომ სხვა ბანკი, ან სხვა პირი ჩვენი მამულებით გამდიდრდება და ჩვენის ბანკისთვის ეს მამულები პირ-და-პირი დამღუპველი შეიქმნება და თავის დაღუპვით ეს ბანკი ჩვენს მეპატრონეებსაც ბევრს ავნებს.

სიფრთხილით ფულის გასესხება იმითია კარგი, რომ თუნდაც მეპატრონემ დაგირავებული მამული არ გააუმჯობესოს, ოღონდ კი არ გააფუჭოს, და მაშინაც შეეძლება ვალის თავიდან აშორება; და თუ გააუმჯობესა, მაშინ ამითი მეპატრონეს ვალის უფრო ადრე გარდახდა შეეძლება და, თუ საჭირო იქნება, ის კიდევ დამატებითს სესხს აიღებს მამულის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

ერთის სიტყვით, ვისაც ჩვენი ბანკი მემამულეთათვის დამღუპველად მიაჩნია, იმათ ერთი უბრალო რამე ავიწყდებათ: საწამლავი მკურნალია, როცა მას ექიმი ზომიერად ნიშნავს და ავათმყოფიც ზომიერად მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საწამლავი თუ სიკვდილის არა, ძლიერი ტანჯვის მიზეზი შეიქმნება უთუოდ. ასეა სასმელ-საჭმლისა და სხვა ყოველისავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც. იმის გამო, რომ უძღებობა, მემთვრალეობა და საწამლავი კაცის სიცოცხლის წამამწარებელი და მომსპობელია, ღვინისა და წამლის კეთებაზედ ხელი არავის აუღია. ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ.

C—s.

---

**უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.**

---

## დღიური

□ 10 მარტს გაუქურდავთ მღ. ზიორგი ზულაბოვის ქვრივი და შვიდმეტი თუმნის ნივთები წაუღიათ; ქურდები, როგორც ამბობენ, აქაურ პოლიციას დაუჭერია.

□ „თბილისის მოამბეში“ ერევნიდგან იწერებიან, რომ 37 ტუსაღი გაქცეულა სატუსაღოდგან; იმათგან თერთმეტე მოუკლავთ; დანარჩენებზედ ჯერ-ჯერობით არაფერს იწერებიან.

□ კახეთიდგან გვწერენ, რომ იქ მოსავალს კარგი პირი უჩანსო და უეჭველად კარგი მოსავალიც მოვაო, თუ ამას იქითაც კარგი ამინდები დაუდგაო.

□ ბორ ზევით მდებარე სოფლებში ისეთი დიდი თოვლი მოსულა, რომ გაზაფხულს ამ ორი თვის შემდეგაც არ მოელიანო.

† 8 მარტს დამარხეს დეისტვიტელნი-სტატსკი სოვეტნიკი, ალექსანდრე აბრამის ძე მჟაკოვი, რომელიც დაბადებიდგან 68 წლისა იყო. განსვენებული 1827 წელს აფიცრათ იყო, ორმოცი წელიწადი მეტი კავკასიაში იმსახურა და დაესწრო ომებს და, თუმცა არ იყო მეომარი აფიცერი, მაგრამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა გზების გაყვანაში და ბურიაში ისე გამოიჩინა თავი, რომ ოქროს ხმლით დაასაჩუქრეს. განსვენებული ყველასგან ძრიელ საყვარელი იყო და მეტის-მეტად პირში მთქმელი და სიმართლისა და პატიოსნების მოყვარე. როდესაც იმას ჩააბარეს გაეკეთებინა პირველი ტელეგრაფი ფოთიდგან ტფილისამდინ და, უნდოდა რა ამის იაფად გაკეთება, იმან გამოუცხადა თავის ქვეშემრდომებს, რომ იმათ ანგარიში დაიბეჭდება; ასე ენერგიულად საქმის შედგომას ის შედეგი ჰქონდა, რომ ტელეგრაფი ძრიელ იაფად დაჯდა. ამასთან მჟაკოვი ძრიელ მოწყალების გამცემი იყო; წმ. ნიკოლოზსავით ესეც ისე აძლევდა ღარიბთა შემწეობას, რომ არ იცოდნენ ვინ იყო ეს მათი გამკითხველი და შემწყალებელი.

□ თელავიდგან მოგვივიდა ერთი წიგნი, საიდამაც ბევრს იქაურს ახალს ამბებს ვტყობულობთ:

აი ეს წიგნი:

„აქ ისევ ისე ავდრებია, მყუდროობა და დამშვიდებული ჭორიკანობა. ამ სიცუდეებთან ერთი სიცუდეც ყოფილა აქ, რომელიც ჯერ არ გამეგონა და რომელსაც ახლავ მოგახსენებთ. აქ ყოფილა რამოდენიმე ადვოკატები, რომელნიც იღებენ სხვა და სხვა ჩირქიან საქმეებს და რომელნიც, მდაბიურათ მოგახსენოთ, ყვლეფენ ხალხს: ერთს ალაგას მე შევხედი ერთს ადვოკატს, რომელიც ვალში პრისტავს აწერინებდა ერთ გლეხკაცის ვენახს; ეს ვენახი აიწერა სამოც და ათ თუმანში, რომელიც იყო შემდგარი შტრაფებით და სარგებლით სამი თუმნიდამ.

„მე ეს შემთხვევა ძალიან გამიკვირდა, მაგრამ აქ მე დამარწმუნეს, რომ ამისთანა შემთხვევა თურმე ბევრჯერ მომხდარა. აი, რა უბედურნი არიან გლეხები! ამას გარდა აქ ძალიან ხშირად არ ასრულებენ მმართებლობის განკარგულებას, რომ გლეხკაცის მამული და სახლის ვეჯი არა კერძო ვალში არ უნდა გაიყიდოს. ეს ბრძანება დიდი ხანია მიულიათ, მაგრამ ასრულებაში კი არ მოჰყავთ. საწყალ გლეხებს კანონიერათ ვერაფერი ვერ გაუტანიათ, თორემ უკანონოთ რას გაიტანენ!

„ამას გარდა აქ ლეკებმა რამდენიმე სომხების და მართლმადიდებლების ეკკლესიები გაცარცვეს და გასწიეს შინისკენ; ამათ დასაჭერათ რამოდენიმე კაცი გაგზავნეს, რომელთაც გზაზე ქმუტი (სომხის საყდარში, რომ აქლარუნებენ) ეპოვნათ და ქურდებს კი ვერ მოსწეოდნენ.“

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

იკოთი, 23 თებერვალს.

პატივცემულის «დროების» მე-20 და 21 №№-ბის კორრესპონდენციებმა, ქართლში ქურდობის და ავაზაკობის თაობაზედ, კაკალი გული გამიხეთქეს.

---

კოლონიასაც: რაც შეიძლებოდა მომეტებული ხარჯი გარდაეხდევინებინა ამერიკელებისათვის და იმას კი ყურადღებას არ აქცევდა — თუ ამნაირ დამოკიდებულებას თავისუფლების — მოყვარე ამერიკელები მოითმენდნენ.

ნამეტანი გადასახადისა და შევიწროებისაგან შეწუხებული ხალხი ადსდგა. პირველად ბოსტონის ქალაქმა დაჰკრა ნაღარა. შემდეგ მალე ყველა ცამეტმა შტატმა მოჰკიდა ხელი თოფ-იარაღს და პირ-და-პირ გამოაცხადეს ფილადელფიაში (1776 წელს) ინგლისის უღელისაგან განთავისუფლების სურვილი.

აჯანყებულ ამერიკას ეხლა ისეთი კაცი ეჭირვებოდა, რომელსაც შესძლებოდა გაფანტული შტატებისათვის საერთო სული ჩაედგა, რომელიც დაბნეული განდგომილების შეერთებას და მტრისაკენ წინ წაძღოლას მოახერხებდა. ყველამ უაშინგტონისაკენ მიაქცია თვალები, ყველას იმის იმედი ჰქონდა; — და მართლაც, იმან არ გაამტყუნა თავის აჯანყებული თანამემამულეების იმედი.

×

უაშინგტონმა იკისრა აჯენყებული შტატების ჯარის სარდლობა.

ვინ ჩამოსთვლის — რამდენი შრომა, რამდენი ღამის უძილობა, რამდენი წვალება და გასაჭირი გამოიარა უაშინგტონმა, სანამ რამდენსამე ათას ჯარს დაამზადებდა, თავის ქვეყნის დამჩაგვრელებთან საბრძოლველად, და განსაკუთრებით შემდეგ, როდესაც ომიანობა დაიწყო! ინგლისს განსწავლული და სამხედრო საქმეში გაწვრთვნილი ჯარი ჰყვანდა; უაშინგტონთან კი მომეტებული ნაწილი ისეთები მოდიოდნენ, რომელთაც მხოლოდ გული ჰქონდათ თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულით ანთებული და თოფისთვის კი იქნება თავის დღეშიაც ხელი არ მოეკიდნათ. ყველა ესენი უნდა გაეწრთვნა, სამხედრო იარაღი და სურსათი უნდა ეშოვნა ამათთვის; ერთსა და იმავე დროს ათასი განკარგულება უნდა მოეხდინა, ათასი გაჭირვება უნდა აეცდინა თავიდამ. მაგრამ რა არის განსაცდელი შიში, შრომა, ღამის უძილობა, წვალება და თვით სიკვდილი ისეთი კაცისათვის, როგორც უაშინგტონი?!

ყველაზე უფრო უაშინგტონს ის ჰკლავდა, რომ თვით ამერიკელებშიაც აღმოჩნდნენ ისეთი უსულ-გულო პირები, რომელნიც, თუ ანგარ-მოყვარეობისა და თუ სხვა რომლისამე ანგარიშით, დამჩაგვრელს ინგლისს მიუდგნენ და მამულს ღალატობდნენ. მაგრამ ვერც ოქრო-ვერცხლით მოყიდვამ, ვერც მაღალი ხარისხების მიცემის დაპირებამ და ვერც სხვა ფლიდურ მოქმედებამ ვერ უშველა ინგლისს...

(შემდეგი იქნება)

აგერ ორმოცი წლისა ესრულდები და ქართლელებისგან ამისთანა მოვლინება და უბედურებაები არ გამიგონია: არამც თუ სულიერი მამის ხანჯლის წვერით ჩხვლეტა და გაგლეჯა, ქათმის მოპარვაც არ მსმენია. ქართლში ავაზაკობდნენ მარტო ოსები და ისიც დიდი შიშით და სიფრთხილით უდაბურ ტყის ვიწრო გზებზედ.

როგორც ჰსჩანს უფ. ზაქარიძის თქმიდგან, მღვდლის გამგლეჯნი ყოფილან წმინდა ქართლელები. რათ იკადრეს ამ პატიოსანი მამისშვილებმა ამისთანა შემარცხვენელი საქმე? ვინ და რამ დაგვესლა ეს საწყლები? იქნება მათს სიღარიბესა და ერთობ მომეტებულ გაჭირებას უნდა მიეაწეროთ?

პატიოსნებას გეფიცებით, ჩვენი ახლო მეზობელი სოფლები: ალევი, ლომისა, წირქოლი, უანჩაეთი, ოძისი და ლამის-ყანა არაოდეს არ ყოფილან ასე დავარდნილი და გალატაკებულნი, როგორც ეხლა; მაგრამ ვინ გაიგონებს იმათგან ამისთანა კაცობრიობის შემარცხვენელ საქმეს, თუმცა კი წმინდა მთიულები და უსწავლელები არიან!

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმ მოძღვრის დამტანჯველნი და გამგლეჯნი არ უნდა იყვნენ გლეხებთაგანი; და, თუ გლეხებია, ბატონყმობიდგან....

განათლებულნი არიან; იმათ გაუცვნიათ მამასახლისის მწერალი, მომრიგებელ-მოსამართლის და მაზრის მმართველის მოსამსახურე—ქვეშევრდომნი და ბოლოს ცრუ ადვოკატნი; სულით და გულით დასწაფებიან ამ წუთის სოფლის უკვდავების წყაროს და გაცვეთილი სეინიდისით მოუკიდნიათ ხელი ავაზაკობისთვის და ამით ასაზრდოებენ როგორც თავიანთ თავს, ეგრეთვე მასწავლებლებსაც, მანამ ეცოცხლებათ!...

უფ. ს. მესხის შეხედულობა და რჩევა ქურდობის მოსპობაზედ ფრიად მოსაწონი და სასარგებლოა. მაგრამ, სანამ სოფლად შკოლები გამრავლდება და ნამდვილი განათლება დაარსდება, იმ დრომდის კარგი იქნებოდა, რომ წმინდა სულიერ მამებს კარგათ შეეგონებინათ თავიანთ სულიერი შვილებისთვის ქრისტიანური ცხოვრება და რომ ვისდამიც რიგია ჯეროვანი ყურადღება მიექციათ თავიანთ ქვეშევრდომ მოსამსახურეებზედ: რომ მათთან არ ეცანცალათ, მსუნაგი მელასავე, ავაზაკებს; და თუ ამათ ეს გაუჭირდებათ, იყოლიონ იმისთანა ქვეშევრდომნი, რომელთა საძირკვლად თვისთა სწავლისა და განათლებისა, ჰქონიყოთ ზნეობითი სავწლა და ნამდვილი მიმართულობა ჭეშმარი-ტებისადმი

ჩვენის ჰაზრით, სანემდის ჩვენი ქვეყანა ეღირსება ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლებას, ამ საშუალებებით შეიძლება ავაზაკობის და მგლეჯველობის შემცირება.

რ. მამამთავრიშვილი.

## ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს

—

რამდენ გზის მითხოვნია სიტყვიერათ იმ პირისათვის, რომელიც ვალდებულია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დაწვლილებით ანგარიში გაეგებინებინა ჩემთვის, მაგრამ ჩემი სურვილი არაოდეს არ აღსრულდა. ჩემ თხოვნას, რომ საფუძველი ჰქონდა და აქვს, ამას ვგონებ დამტკიცება არ უნდა. სათათრეში თუ მოინახება, თორემ ჩვენში ვგონებ არავინ იქნება ისეთი პირი, რომ ანგარიშს არ აძლევდეს მას ვისგანაც რამე საქმეზე არის დაყენებული. ამაზე კანონიც, რომ არ იყოს მაინც კი ვალდებულია კაცი შეატყობინოს ანგარიში თავის დამყენებლებს თავის მოქმედებაზე. მაგრამ როდესაც ცხადი კანონი და მართებლობის ბრძანება არის ამის თაობაზე რა არის მიზეზი, რომ ამოდენი ხანი იმერეთის სამღვდელოება ვერ ეღირსა ერთი ჩვენი ოთხ კლასიანი სასწავლებლის ანგარიშის წაკითხვას?.. მე არ დავიჯერებ, რომ სასწავლებლის ზედამხედველები ამისთანა ანგარიშს ყველა არ ადგენდნენ, მაგრამ ერთი მითხრან ვისთვის ადგენენ? განა ეს ანგარიში იმისთვის უნდა იწერებოდეს, რომ ოთახში შეინახონ. თუ სამღვდელოებს უნდა წააკითხონ? როდესაც ახალი სასწავლებლის წესდება შემოვიდა მოქმედებაში და ძალაში, თუ კი ის პარაგრაფი და სტატია კი მონახეს, რომლის ძალით მათ ჯამაგირი ემატებოდა, როგორ ვერ დაინახეს იმის ქვემოდამ ის პარაგრაფი და სტატია, რომლითაც ისინი ვალდებულნი არიან ყოველ წლის დამლევს ანგარიში შეადგინონ და დაბეჭდილნი მღვდლებს უნდა გაუგზავნონ? (იხილე უმაღლესად დამტკიცებული სასწავლებლის წესდების § 60 და შენიშვნა § 41-ისა). ვისთვის და რისთვის არიან დაწერილნი ეს პარაღრაფები? რომ ამისთანა დაუდევნელობისაგან ზარალი არ ეძლეოდესთ სამღვდელოებს მაშინ არას ვიტყვი, მაგრამ მე მაძულებს ამის თქმას მხოლოდ ისა, რომ საბოლოვოთ დიდ-ზარალს ვხედავ ამის აუსრულებლობით.

კარგა ძალი ფული იკრიბება დღეს იმერეთის სამღვდელოებისაგან სასწავლებლის შესანახავად, მაგრამ როგორ იხარჯება ყველა მღვდელმა ეს არ იცის. ამისთანა სასწავლებლის ზედამხედველის დაუდევნელობისაგან მოხდა, რომ დღეს სამღვდელოები 460 მ. იხდიან სახლის ქირას და სხვა ხარჯი კიდევ სხვა არის. ესევე მოელის სამღვდელოებს შემდგომშიაცა. ამისთანა ანგარიშის შედგენის ვადა არა თუ მოსული წასულიც არის, ამისათვის ძალისა გამო §. § 60, და 41, ვითხოვ მორჩილად უფალ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისაგან შეადგინოს ზემოთქმულის პარაღრაფებისაგან მოთხოვნილი სასწავლებლის ვრცელი ანგარიში და დაბეჭდინოს გაზეთს „დროებაში“, და თუ „დროება“ ვერ მიიღებს რომელიმე მიზეზისაგამო მის დაბეჭდას გამოსცეს ბროშურებათ და დაგვირიგოს ყველა მღვდლებს.

იმერეთის ეპარხიის სოფლის მღვდელი.

10 მარტს.

## უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. თუ რა ნაირად და რა საშუალებით ცდილობდნენ ბონაპარტიელები ხალხში იმპერატორი ნაპოლეონის გვარის სიყვარულის გავრცელებას, ამას ამტკიცებს სავარისაგან მოგროებული პორტრეტები, რომლებსაც ბონაპარტიელები ავრცელებდნენ საფრანგეთის ხალხში. ამ ნაირი პორტრეტები ორმოცდა ერთამდინ არის, და ყველა ისინი იმპერატორის გვარს უფრო სასაცილოდ აგდებინებდნენ ხალხს სინამ აყვარებდნენ; ერთზე დახატულია იმპერატრიცა, ხელში წიგნით და მეტის-მეტად ფიქრებში შთანთქმული; იმის გვერდით იმპერატორის პრინცი და იმათ შუა ულვაშებიანი ნაპოლეონ III ბიუსტი. მეორეზე—მთლად სახლობა, ნაპოლეონი I ჩამომავლობა ჟოზეფინა და კოროლევა ლორტენზია. მერმე მამა, დედა და შვილი, მეტის მეტად ძრიელ მოწყენილნი, სტოლს გარშემო უსხედან. ადამიანს ეგონება, რომ ისინი რამე თამაშობას აპირებენო, რომ ყველა მათგანს თითო წიგნი არ ედოთ წინა. შემდეგ იმპერატორს მუხლზედ უზის თავისი შვილი და სახის გამომეტყველება ამტკიცებს იმას, რომ ჩემი შვილი პატარა აღარ არისო. ერთ პორტრეტზედ კიდევ დახატულია ის კონა, და ყველა ყვავილიდგან იმპერატორის გვარის ერთი რომელიმე წევრის თავი გამოდის, რომელიც ძრიელ სასაცილო რამ არის. ამ პორტრეტებში არის ნაპოლეონ III დამარხვაც და დეპუტაცია ფლურანსის მკვლელებისაგან. აქ იმპერატორის პრინციც არის დახატული, რომელსაც ხელში სამ ფეროვანი დროშა უჭირავს, მხრებზე ხალხის ოთხი კლასის წარმომადგენლები უდგას: სალდათისა, მუშებისა, მიწის მხვნელებისა და ბურჟუაზიისა. იმპერატორის პორტრების გარშემო სახარების სიტყვები სწერია: „იგი აძლევდა საჭმელს მშიერთა და ჰმოსავდა შიშველთა“ „მან მიიზიდა გული ყოველის ხალხისა, როგორც ერთისა“ და სხვ. მაგრამ კაცის ყურადღებას ყველაზედ ძრიელ ის პორტრეტი იზიდავს, რომელზედაც ნაპოლეონია დახატული, როდესაც ის ბრძოლის ველს, მოდებულს მკვდრებით, ათვალიერებდა. ზემოთ მოყვანილი აღწერა ცხადად ამტკიცებს რომ ბონაპარტიელები არ არიან მახვილი გონების პატრონები თორემ არც ამისთანა სასაცილო საშუალებას იხმარებდნენ ხალხში ნაპოლეონის გვარეულობის სიყვარულის გასავრცელებლად.

ესპანია. ისპანიის მმართებლობა ძრიელ შეშინებულია იმის გამო, რომ კარლისტებმა ამ უკანასკნელ დროს რაოდენჯერმე დაამარცხეს იმათი ჯარები და ერთხელ ხომ თითონ კოროლი დონ-ალფონსი კინაღამ ტყვეთ არ წაიყვანეს. ამ შიშმა იქამდისინ მიაღწია, რომ მეტის-მეტად ძრიელ დააფიქრა კოროლის დაახლოვებული პირები და გარეგანი საქმეების მინისტრმა დემა-კასტრომ, როგორც გაზეთი „ტაიმსის“ ერთი მადრიდელი კორრესპონდენტი ამბობს, მინისტრების ერთ უკანასკნელ კრების დროს, ჩამოაგდო ლაპარაკი იმაზედ, რომ ურიგო არ იქნება შემწეობა ვთხოვოთ სხვა სახელმწიფოებსაო, განსაკუთრებით გერმანიას და ინგლისსაო, რომ კაცთ-მოყვარულობა იქონიონ და დაგვეხმარონ კარლისტებთან ომშიაო, რადგანაც ჩვენის ძალით ვერ ვამარცხებთო. ეს წინადადება უკუაგდეს. მაგრამ ერთი ისა, რომ ამ გვარი ჰაზრი დაიბადა ესპანიის მინისტრის თავში ამტკიცებს იმას, რომ ესპანიელებს არა აქვსთ იმედი თავის ძალით კარლისტების დამარცხებისა. ამტკიცებენ იმასაც, რომ უკანასნელმა კარლისტების გამარჯვებამ მმართებლობის ჯარებზედ, ახალგაზდა კოროლი დონ-ალფონსი ისეთ სასო-წარკვეთილებაში ჩააგდოო, რომ ის ცოტა-ხნის შემდეგ ხელსაც აიღებს ესპანიის ტახტზედაო. მაგრამ კოროლის უფროსი დაგრაფინია დჟირდჟენტი არ აძლევს ტახტის უარის ყოფის ნებას, რადგანაც მთელი იმათი ცხოვრება იმის ტახტზედ აყვანაზე დაიხარჯა და სიღარიბეში დარჩებიან. ამბობენ იმასაც, რომ თუ დონ-ალფონსმა ან თავი დაანება ტახტსა და ან მოკვდა ამის უფროსი და დჟირდჟენტი ავა ტახტზედაო.

კასტელფულიტის სიახლოვეს კარლისტები ძრიელ დაუმარცხებია მმართებლობის ჯარებს იმათ თავი დაუნებებიათ გაკეთებულ სიმაგრეებს და ბრძოლის ველზედ ბევრი მკვდრები და დაჭრილები დაუტოვეს. ამ დამარცხებას კარლისტები კაბერის აბრალებენ, რომელსაც როგორც ამბობენ, მმართებლობის ფულით უნდოდა მოეყიდნა კარლისტების სარდლები და დაემორჩილებინა დონ-ალფონსისთვისაო.

## საბაასო

### წერილი რედაქტორთან

უ. რედაქტორო, „დროების“ უკანასკნელ №№-ში მე წავიკითხე როგორათაც საჩივარი უ. ჩომახიძისა, რომ იმისგან ამ ორის წლის წინათ გამოგზავნილი ქართული ანბანი აქამომდე მელიქიშვილის და ამხ. სტამბას არ დაუბეჭდია, აგრეთვე საყვედური, რომელიც ამ შემთხვევამ აღძრა ერთი მეორეზე მელიქიშვილსა და თულაშვილს შორის.

როგორც საქმიდამა სჩანს, მეც ვარ მონაწილე მელიქიშვილისა და ამხ. სტამბისა; მაშა სადამე, ერთის მხრით მეც უნდა შემეხებოდეს ჩო=

მახიძის საჩივარი. ამისთვის ვალათ ვრაცხ მეც რამე ვთქვა.

ამხანაგობის პირობის ძალით სტამბას განაგებს ერთ-ერთი ამხანაგი. როგორც უ. თულაშვილის წერილში მოხსენებული, სტამბას პირველად განაგებდა თულაშვილი, ახლა განაგებს მელიქიშვილი. ჩვენ, ამხანაგებს, ჩვეულებათ გვაქვს მიღებული, რომ ჩვენგან ვინც სტამბას არ მართავს, ის იმას ყურს არ უგდებს და სტამბის გარემოება და მოქმედება ჩვენგანმა მხოლოდ იმან იცის, ვის ხელშიაც ის არის. საქებია ეს ჩვეულება, თუ საძრახი, ეს ახლანდელ საქმეს არ შეეხება. ეს არის მიზეზი, რომ მე აქამომდე არ ვიცოდი, მიუღია სტამბას ანბანის დასაბეჭდი ფული თუ არა. თუმცა მელიქიშვილი პირველ წიგნში ამტკიცებდა, რომ არც ფული სჩანსო სტამბის საალებ-მიცემო წიგნებში, არცა რამ ანბანზე ვიციო, მაგრამ ახლა, როდესაც თულაშვილი ფულის მიღებას სტამბის წიგნებითვე ამტკიცებს, მელიქიშვილიც ამაზე უარზე აღარ არის, მაშასადამე აქ ფულზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს. ანბანის გამო აი რა ვიცი. შარშან, არ მახსოვს კი რომელ თვეში, ან გაზაფხული იყო, ან ზაფხულის დაწყება, სტეფანე მელიქიშვილის ძმამ იოსებმა, რომელიც სტამბის ფაკტორი იყო და არის, მთხოვა, უ. ჩომახიძის ანბანი გვაქვსო დასაბეჭდი და როდესაც ცენზურნი კომიტეტს სასულიერო ცენზურამ დაუბრუნოსო, აგები გამოიტანო და გადმომცეო. ჩემის თხოვნით ეს ანბანი მე თვითონ ჩამაბარეს ცენზურნი კომიტეტში და მეც იოსებ მელიქიშვილს ჩავაბარე და ჩემის მხრით ვთხოვე იმას, რომ მალე დაებეჭდა, რომ საყვედური არ მივიღოთ ავტორისაგან. შემდეგ ამისა ანბანი მე აღარ მომგონებია და აღარ მიკითხავს, რა იყო მიზეზი, რომ ის დაუბეჭდავი დარჩა. რაღა თქმა უნდა, რომ სტამბას ამ საქმეში თავის გამართლება არ შეუძლიან და უ. ჩომახიძე უნდა სტამბამ დააკმაყოფილოს, როგორც ამას წესი და პატიოსნება მოითხოვს.

დ. ბაქრაძე.

უფალო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში ატეხილმა ბაასმა, ჩომახიძის ანბანის თაობაზე, ძალაუნებურად მეც კალამი ამაღებინა ხელში.

უფ. დიმიტრი ბაქრაძე ამბობს, რომ შარშან (რა თვეში კარგათ არ ახსოვს) გადმომცა მე დასაბეჭდათ ცენზურის კამიტეტისაგან ხელ-მოწერილი ანბანი და გაკვირვებულია, ამტენი ხანი რატომ არ შეუსრულებია იოსებ მელიქოვს ამ ანბანის ბეჭდვაო.

მოვახსენებ უფ. დ. ბაქრაძეს, რომ ჯერ საქმის გარემოება კარგათ უნდა გაეგო და მერე უნდა ეთქვა, რაც ჰქონდა სათქმელად.

საქმე აი როგორ იყო: იმავე თვეში რომელშიაც მე ის ანბანი უფ. დ. ბაქრაძისაგან მივიღე — თითქმის სრუ ლებით აწყობილი იყო (მოწმად ასოს-ამწყობლები შემიძლიან მოვიყვანო); მაგრამ რადგანაც არც თულაშვილის დავთრებიდამ ჰსჩნდა და არც ჩომახიძის წიგნი იყო სტამბაში, რომ შეგვეტყო თუ რამდენი ეგზემპლიარი უნდა დაგვებეჭდა ამ ანბანისა, ამის გამო იმ დროსვე უფ. ს. ჩომახიძეს წიგნი მივწერე (ამ წიგნის კოპიო უფ. დ. ბაქრაძეს შეუძლია ნახოს სტამბაში) და ვსთხოვე, რომ შემოეთვალა რამდენი ეგზემპლიარი დაიბეჭდოს. იმ წიგნზე სტამბა დღემდინ პასუხს უცდის.

ამასთანვე აი კიდევ რა უნდა მოგახსენოთ: უფ. ვახტანგ თულაშვილი ამბობს, რომ სტამბის 1872 წლის დავთარში ხსენებული ანბანი და ფულები ნაჩვენებიაო. ეს მართალია; მაგრამ სტამბის ფაქტორი ყველა დავთრებს კი არ უყურებს, როდესაც ზაკაზებს ასრულებს, ის უყურებს იმ ზაკაზების დავთარს, რომელშიც ცალკ-ცალკე მოხსენებულია: თუ ვისგან, რა დროს, როგორი ზაკაზი შემოსულა და რამდენი ეგზემპლიარი უნდა დაიბეჭდოს.

1872 წლის ზაკაზების დავთარში, რომელიც თულაშვილისაგან არის შედგენილი, ეს ანბანი სრულებით არ არის მოხსენებული.

იოსებ მელიქიშვილი.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, ზარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** პარჟნიცკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** მინკევიჩი—ხირურგიისა, პარჟნიცკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**შ ა ბ ა თ ს:** მარკაროვი და ლისეცევი ინაგანი ავათმყოფობისათვის.

# განცხადებანი


## გასყიდვა

ახლად გამართული

**ვენგრიული მაღაზია**

სასახლის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, ჩარახჩიანცის მაღაზიის გვერდით.

მაღაზია არის გახსნილი

**მოკლე ხნით**

მაღაზიაში იპოვება ყოველგვარი **საცვალი** კაცისა, ქალისა და აგრეთვე ყმაწვილებისათვის; ჰოლლანდიის, ბელგიის, საქსონიის, ბოჰემიისა და რუსეთის **ტილო**, ტილოს და ბატისტის ც ხ ვ ი რ-ს ა ხ ო ც ე ბ ი, ი უ ბ კ ე ბ ი, პ ე ნ უ ა რ ე ბ ი, პ ი რ-ს ა ხ ო ც ე ბ ი, სალფეთქები და სტოლის საცვალი 6, 12, 18 და 24 პირისათვის.

ამას გარდა, წინდები და სხვა საქონელი, რომელიც პრეის-კურანტშია მოხსენებული.

რადგანაც განზრახვა მაქვს, რომ მალე სამზღვარ გარეთ უნდა წავიდე, ამის გამო მაღაზია მხოლოდ **მოკლე ხანს** იქნება და ამის გამო იმედი მაქვს, რომ აქაური პატივცემული საზოგადოება ისარგებლებს ამ შემთხვევით და უყურადღებოდ არ დააგდებს ჩემს მაღაზიას.

ქ უ კ ი ა შ ი, მალაკანის სლობოდკაში, მალაკანკის ემელიანოვის სახლის გვერდით, ჩრდილოეთით, **ისყიდება 750 საჟენი მიწა.** დაწვრილებით პირობების შეტყობა, ვისაც ამ ადგილის ყიდვა ჰსურს, შელიხოვსკის ცოლთან შეიძლება, მოდოვოზნის ქუჩაზე, აივაზოვის სახლებში.

[illegible]

შესანიშნავი

## იაფობა

მ ა ლ ა ვ ი ნ ი ს პ რ ო ს პ ე ქ ტ-ზე, პ ო დ პ ო ლ კ ო ვ ნ ი ც ი ს ზ ა ვ-რ ი ე ვ ი ს ს ა ხ ლ ე ბ შ ი, „ ა მ ე რ ი-კ ი ს“ ს ა ს ტ უ მ რ ო ს გ ვ ე რ დ ი თ.

არა ჩვეულებრივმა ვაჭრობის სიძაბუნემ და ფულის კრიზისმა მაიძულა მე

**მოკლეს ხნით**

მოვსულიყავ ქ. თფილისში ახალის და ნაირ-ნაირის საქონელით. მაქვს **ყოველგვარი თეთრეული, ტილოს საქონელი.**

რადგანაც მსურს, რომ ჩემი საქონელი რაც შეიძლება **მსწრაფლად გავყიდო**, ამის გამო გადავწყვიტე რომ ყველა საქონლის ფასზე 25% დაუკლო და ამ ნაირად კონკურენცია ავიცალო ჩემს მაღაზიას, რომელიც სხვა მაღაზიებზე უფრო იაფად გაჰყიდის.

უმორჩილესად ვსთხოვ **პატივცემულ საზოგადოებას** მიაქციოს ყურადღება პრეის-კურანტს, რომელიც ჩემს ზემოხსენებულს **მაღაზიაში** იპოვება.

ა ქ ვ ე ი ს ყ ი დ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ-გ ვ ა რ ი ს ა მ ზ ი თ ვ ო თ ე თ რ ე-უ ლ ი.

**ოდესის ვაჭარი მ. ფრიშ.**


| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| ცოქთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილი. . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ხუთშაბ. სალ. 6 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — ოთხშაბათს, ღამით.

ოდესას — პარასკევს, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 4 მარტს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33\frac{1}{3}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $350\frac{1}{4}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | 25 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 198 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 195 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 87 | 50 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 225 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

### მაზანდა

| თფილისი, 13 მარტს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 80 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 65 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 10 |
| — თარაქამისა ფთ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . . | 4 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 45 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | 1 | — |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 7 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 5 | 90 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Марта 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.